ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA GENERATION
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

N 3001148
11.03.2021.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია"-ს დაგეგმილი აქვს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის 1.8 მგვტ-თ გაზრდა, რაც განხორციელდება ერთ-ერთი ჰიდროაგრეგატის (N6) გენერატორის ახლით შეცვლით, რომლის სიმძლავრე ნაცვლად 12.0 მგვტ-ისა იქნება 13.8 მგვტ, ხოლო ჰესის დადგმული სიმძლავრე ნაცვლად 36.8 მგვტ-სა იქნება 38.6 მგვტ.

ჰესის ექსპლუატაციის პირობების დაგეგმილ ცვლილებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 8 აპრილის N2-327 ბრძანებით, გაცემულია N27 (24.03.2020 წ) სკოპინგის დასკვნა.

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-10 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

წერილს თან ერთვის:

- გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- ჰესის კომუნიკაციების განლაგების სიტუაციური სქემა;
- გზშ-ს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და ჰესის კომუნიკაციების განთავსების ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინატები GIS ფორმატში - CD დისკზე.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 4642
17 03 2021
1/4/CD
02

შემსრულებელი: გარემოსდაცვითი მმართველი მარიამ მჭედლიშვილი ტელ: 577351055